

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №94

2018 წლის 5 იანვარი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №10) მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

- ა) სამართლებრივ საკითხთა სამმართველო;
- ბ) მონიტორინგის სამმართველო;
- გ) მიმდინარე კონტროლის სამმართველო;
- დ) დეკლარირების კულტურის ამაღლების სამმართველო;
- ე) ექსპერტიზის განყოფილება;
- ვ) ქვემო ქართლის განყოფილება;
- ზ) შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის განყოფილება;
- თ) კახეთის განყოფილება;
- ი) სამცხე-ჯავახეთის განყოფილება;
- კ) იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის განყოფილება;
- ლ) სამეგრელოს, გურიისა და ზემო სვანეთის განყოფილება;
- მ) აჭარის განყოფილება;
- ნ) სამართალდარღვევათა გამოვლენის სამმართველო.“.

2. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის დებულება“ (დანართი №10) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11¹ მუხლი:

„მუხლი 11¹. დეკლარირების კულტურის ამაღლების სამმართველო

დეკლარირების კულტურის ამაღლების სამმართველოს ფუნქციებია:

- ა) პოტენციურ დღგ-ის გადამხდელ პირთა გამოვლენა;
 - ბ) შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე იმ გადასახადის გადამხდელთა რეესტრის განსაზღვრა, რომელთაგანაც არსებობს დეკლარაციის წარმოდგენის მოლოდინი;
 - გ) გადასახადის გადამხდელთან კომუნიკაციის განხორციელება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დეკლარაციის წარდგენის სავადო თარიღამდე და სავადო თარიღის შემდგომ;
 - დ) იმ გადასახადის გადამხდელთა გამოვლენა, ვისგანაც არ განხორციელდა დეკლარაციის წარმოდგენა და შემდგომი რეაგირებისათვის ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის;
 - ე) დეკლარირების კულტურის ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგი;
 - ვ) დეკლარირების კულტურის ამაღლების მიზნით განხორციელებული ქმედებების შედეგების შესახებ ანგარიშების მომზადება;
 - ზ) დეკლარირების კულტურის გაუმჯობესების პოლიტიკის შემუშავება და საჭიროებისამებრ საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება ;
 - თ) დეპარტამენტის ხელმძღვანელობის სხვა დავალებებისა და მითითებების შესრულება“.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი

გიორგი თაბუაშვილი

